MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK

PMCG Research

UNDP

**დეკემბერი, 2025 – ნოემბერი, 2026**

# GREENNOVATION
# აქსელერაციის პროგრამა

“Greennovation” აქსელერაციის პროგრამის მიზანია **ფოთის და ხობის მუნიციპალიტეტებში** მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა მწვანე ან/და ციფრული ტრანსფორმაციისთვის. პროგრამაში მონაწილეობისთვის შეირჩევა 30 მონაწილე, საიდანაც 10 მონაწილე მიიღებს ფინანსურ მხარდაჭერას 180 000 აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური მხარდა-ჭერის ფონდიდან. ინიციატივა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა და დანიის მთავრობის ხელშეწყობით, "მწვანე მომავალი, უფლებები და სტაბილურობა" პროექტის ფარგლებში. პროგრამა მიმართულია მწვანე/ციფრული ტრანსფორმაციის გეგმების განხორციელებაზე, მათ შორის:

- ენერგოეფექტურობა
- ნარჩენების მართვა
- ცირკულარული ეკონომიკა
- ციფრული ინსტრუმენტების დანერგვა
- რესურსების ეფექტიანობა
- სხვა

## პროგრამის ფოკუსი

პროგრამა მიმართულია ბიზნეს იდეებზე/გეგმებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის მწვანე ან/და ციფრულ ტრანსფორმაციას. შერჩეული 30 მონაწილე მიიღებს 16 კვირიან აქსელერაციის კურსს, მენტორობასა და ტექნიკურ დახმარებას. აქედან, საუკეთესო 10 მონაწილე მიიღებს 10,000–25,000 აშშ დოლარის ფინანსურ მხარდაჭერას.

## რატომ უნდა ჩაერთოთ?

პროგრამა გთავაზობთ ცოდნის, მენტორობის და ფინანსური მხარდაჭერის ერთობლიობას - თქვენს ბიზნესში ინოვაციური იდეების და პრაქტიკების რეალიზაციისთვის.

## მონაწილეობის კრიტერიუმები

- იურიდიული პირები, რომლებიც დაფუძნებულები არიან საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
- მეწარმე სუბიექტს აქვს ბიზნეს კავშირი (მაგ: საქმიანობის განხორციელება) ფოთის ან/და ხობის მუნიციპალიტეტთან.
- მეწარმე სუბიექტი აქტიურია სულ მცირე 1 წლის განმავლობაში.
- მეწარმე სუბიექტს არ აქვს მიმდინარე საგადასახადო დავალიანება, ასევე არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

## პროგრამის ეტაპები

- შერჩევა – განაცხადების განხილვა და ინტერვიუები.
- აქსელერაცია – 16 კვირიანი ტრენინგი და მენტორინგი.
- ფინანსური მხარდაჭერა – საკონკურსო დღე და გამარჯვებულების შერჩევა.
- განხორციელება – ფინანსური მხარდაჭერის ათვისების მონიტორინგი და შემდგომი ტექნიკური მხარდაჭერა.

## ვადები

**განაცხადების მიღების ბოლო ვადა:** 1 დეკემბერი, 2025, 18:00 საათი (თბილისის დროით).

**საინფორმაციო შეხვედრა:** 25 ნოემბერი, 2025 წელი, 15:00 საათი (თბილისის დროით ონლაინ ფორმატში, ლინკი).

**პროგრამის დაწყება:** 15 დეკემბერი, 2025 წელი.